



ქალბატონებო და ბატონებო,

მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ორგანიზაციული განვითარების გეგმა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქვეყანაში საზოგადოებრივი მაუწყებლების საქმიანობის მთავარი არსი გაწერილია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში, ორგანიზაციული განვითარებისა და მართვისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სხვა ფუნდამენტური დოკუმენტების მათ შორის, სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება.

წარმოდგენილი სამუშაო ვერსიების შესახებ დახურული და ღია საჯარო შეხვედრების ფორმატში მოგვიწევს არაერთი მსჯელობა, თუმცა მთავარი საკითხია ორგანიზაციის მისიის განსაზღვრა, რომლის თანახმადაც, შესაძლებელია მაუწყებელმა საინფორმაციო, შემეცნებითი და სოციალური პროდუქტის აჭარიდან მიწოდებით ხელი შეუწყოს საზოგადოების რაც შეიძლება მრავალფეროვანი ჯგუფების უწყვეტ განვითარებას.

ამავე დოკუმენტის მეშვეობით ჩვენ შევძლებთ გამოვკვეთოთ ორგანიზაციის მთავარი ღირებულებები და ხედვები.

საგულისხმოა, რომ სტრატეგიის დოკუმენტის ცვლილება ბუნებრივ რეჟიმში იწვევს სტრუქტურული საკითხების გადახედვას. ერთის მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ ეს არ არის ახალი სტრუქტურა თავისი შინაარსით, ამ ეტაპზე ხდება უკვე დანერგილი სტრუქტურის მუშაობის შეფასება, დადებითი და უარყოფითი შედეგების ანალიზი და ახალი საჭიროებების/ახალი მენეჯმენტის საქმიანობის ფონზე განსხვავებული ამოცანების გადაჭრის გეგმის წარმოდგენაც.

აღნიშნული ცვლილების შემდეგ შესაძლებელი გახდება ჩამოყალიბდეს სახელფასო კალათა და შეიქმნას შრომის სამართლიანი ანაზღაურების სისტემა.

შეიქმნება საქმიანობის კიდევ უფრო ეფექტური პროცესი. გაუქმდება დირექტორის მოადგილეების რგოლი, რომელიც დამატებითი ბარიერია წარმოების პროცესში.

წარმატების მისაღწევად ჩვენი მთავარი რესურსები შესაძლებელია გადანაწილდეს ექვსი ძირითადი მიმართულებით, ესენია: **სტრატეგიული განვითარების დაგეგმვა, ახალი ამბები, შემოქმედება, ტექნიკის მართვა, ფინანსების მართვა, ადმინისტრაციის მართვა.**

სტრატეგიული განვითარების დაგეგმვა - აღნიშნული რგოლი გააერთიანებს მაუწყებლობის სამივე პლატფორმას. ტელე, რადიო და ვებ მიმართულებით გუნდი ერთიანად იმუშავებს გადაცემათა შექმნის, ბრენდირების და შეფასების კომპონენტებზე.

ახალი ამბები - გუნდი გააერთიანებს ყოველდღიური ახალი ამბების, საგამომიებო გუნდის, ანალიტიკური გუნდის საქმიანობას. შემოღებული იქნება რეჟისორის პოსტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ახალი ამბების მომზადების ტექნიკურ ნაწილზე. ეს კი შეამცირებს დღეისათვის არსებულ მრავალრიცხოვან ხარვეზს და ტექნიკურ გაუმართაობას ყველაზე საკვანძო რგოლში.

შემოქმედება - გუნდი დაიყოფა სამ ძირითად მიმართულებად წარმოების და პროდიუსინგის პარალელურად, მაუწყებელში შეიქმნება ფილმების სტუდია. მართვაში დარჩება მიმართულების დირექტორი. ამავე დროს წინა პლანზე იქნება მთავარი რეჟისორის ფუნქციური დატვირთვა, რომელიც ყოველდღიური ადმინისტრაციული ფუნქციისაგან თავისუფალ რეჟიმში მხოლოდ შემოქმედებითი პროცესების მართვას და შიდა კონსულტაციების გაწევას დაუთმობს დროს.

ვფიქრობთ, განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა განვიხილოთ **ფილმების სტუდიის შექმნის საკითხი**. აღნიშნული გადაწყვეტილება აჭარის მაუწყებლისთვის აღმოჩნდება ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი. ჩვენ მოგვეცემა შესაძლებლობა შევთანხმდეთ ფილმების ოდენობასა და ხარისხზე, ისინი განთავსდება ჩვენი მაუწყებლის პლატფორმებზე, ასევე შევძლებთ ყოველწლიურად გადავიღოთ ორი ფილმი მაინც საერთაშორისო ფესტივალებზე წარსადგენად.

ამ მიმართულების ნაწილი გახდება გახმოვანების სტუდია, რომელიც გახდება უნიკალური შესაძლებლობა ჩვენი მასალები ვთარგმნოთ და რეალიზაცია შევძლოთ, როგორც კავკასიის მედიაბაზარზე, ისე ქვეყნებში, საიდანაც უფრო მეტი ტურისტი შემოდის ქვეყანაში ან/და ნაკლებია ინტერესი აჭარის მიმართ დაბალი ცნობადობის გამო. ამ ამოცანის გადაჭრით ჩვენ აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ ტურიზმის განვითარებაში. შესაბამისად, მაუწყებელი გაამართლებს საკუთარ მნიშვნელობასაც - ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი სიკეთეების განვითარებას აჭარაში.

ტექნიკის მართვა - ჩვენი მაუწყებლის განსაკუთრებული ყურადღების საგანია, დღეს არსებული ტექნიკური ხარვეზები ხელს უშლის ორგანიზაციის წარმატებას. გუნდის გაძლიერება/დატრენინგება იქნება უახლოესი პერიოდის მთავარი გამოწვევა. თუმცა ამ შემთხვევაში ტექნიკურმა მიმართულებამ უნდა გააერთიანოს მიმდინარე და სამომავლოდ აუცილებელი პროცესები. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოხდეს ტელე, რადიო და ვებ მიმართულების მართვაზე პასუხისმგებელი პირების დადგენა და ტექნიკური მხარდაჭერის გუნდის გადანაწილება.

ფინანსების მართვა - ორგანიზაციის სტრატეგიული ამოცანაა. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით მოხდეს ბიუჯეტის დაგეგმვის, გაყიდვების, შესყიდვების და ბუღალტერიის



აჭარის თელავიზია და რადიო

საქართველო, 6010, ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge

ეროვნული მართვის ცენტრის დახმარებით ხედვით მომსახურების მიღება და გაყიდვა. სამსახურების გაერთიანება შექმნის დამატებითი შემოსავლების მიღების კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას.

ადმინისტრაციის მართვა - აღნიშნული მიმართულება გააერთიანებს ადამიანური რესურსების, კანცელარიის, იურიდიული სამსახურის, არქივის და ლოჯისტიკის საკითხებს. აქ მოექცევა მეურნის და ავტოპარკის მართვის რგოლი.

ადმინისტრაციული ფუნქციების და ადამიანური რესურსების სწორი გადანაწილების გარდა, ჩამოყალიბდება მედიასკოლა, რომელიც გაწერილი ყოველწლიური გეგმის მეშვეობით სხვადასხვა თაობის თანამშრომლებს მისცემს შანსს/გარანტიას გაუძღონ ტექნოლოგიური განვითარების გამოწვევებს, მუდმივად გაიახლონ ცოდნა და შეიძინონ პროფესიული წარმატებისთვის საჭირო ახალი უნარ-ჩვევები. ეს მიმართულება დაეხმარება თანამშრომლებს ჩაერთონ შიდა და საერთაშორისო სასწავლო მივლინებებში.

მედიასკოლის გამართვით დაიხვეწება სტაჟირების სისტემა. მოხდება ადგილობრივი უნივერსიტეტების განვითარების ხელშეწყობა და გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში წარმატებული საქმიანობის აწყობა. ასევე შესაძლებელი გახდება მედიაწიგნიერების კურსის ფარგლებში სკოლებთან თანამშრომლობა და მაუწყებლის საქმიანობის პოპულარიზაცია. ამევე დროს მომავალში აჭარის მაუწყებელი შესაძლებელია გახდეს პროფესიული მომზადების ერთგვარი ცენტრი. შესაძლებელია ასევე გაიმართოს ფასიანი ტრენინგ-კურსების მოდულები. ეს კი მაუწყებლისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ წარმოდგენილი მასალები სამუშაო ხასიათისაა და მაუწყებლის ოფიციალურ საიტებზე განთავსებულია საზოგადოების ჩართულობისა და საბოლოოდ საუკეთესო მოდელის მიღების მიზნით.

თქვენი მოსაზრებები განსაკუთრებული ღირებულების მონაწილეობა იქნება. შეგიძლიათ შეგვეხმარიანოთ/მოგვწეროთ ელ ფოსტაზე: info@ajaratv.ge Kapanadze@ajaratv.ge

ვფიქრობ, საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეის განვითარების ამ ეტაპისათვის, დისკუსიის ფორმატში გადატანის შემდეგ აჭარის ტელევიზიისა და რადიოსთვის შეიქმნება სტრატეგიისა და სტრუქტურის ყველაზე მისაღები მოდელი. სამუშაოების ღიად და გამჭვირვალედ ჩატარება კი წარმატებას მოუტანს მაუწყებელს.

დანართი:

1. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია

https://drive.google.com/file/d/0BzF1RjL8_oBTcEhJeVpoWXlsbzA/view?usp=sharing

2. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს სტრუქტურის კორექციის დოკუმენტის სამუშაო ვერსია

https://drive.google.com/file/d/0BzF1RjL8_oBTRGNawDJsOHFteUU/view

3. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს ტექნიკური განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია

https://drive.google.com/file/d/0BzF1RjL8_oBTVIB0RT1DeG5zNjA/view

პატივისცემით,

ნათია კაპანაძე

დირექტორი

